## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

## ბრძანება №1-1/204
**2024 წლის 5 ივნისი**

ქ. თბილისი

### „2020-2024 წლების ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/601 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„2020-2024 წლების ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/601 ბრძანებაში (ვებგვერდი, 25/12/2019, 300300000.22.024.016614) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მუხლი $1^4$-ით დამტკიცებული „2024 წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსი 2024 წლის 1 იანვარიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“ ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2020-2024 წლების ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/601 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის 31 მაისის №1-1/198 ბრძანება.

**მუხლი 3**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი — ლევან დავითაშვილი